



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზუდჰაიმი ლუდოლფ ფონ

ზუდჰაიმი (Sudheim) ლუდოლფ ფონ, XIV ს. გერმანელი სასულიერო პირი, წარმოშობით ვესტფალიიდან. 1336–41 იმოგზაურა აღმოსავლეთში. 1336 მონახულა იერუსალიმი. მისი ცნობა ქართველების შესახებ დათარიღებულია 1347-ით, სადაც ნათქვამია: „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეეღებებიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი. ქართველები წმინდა საფლავის გასაღებს ფლობენ, რადგან ისინი განსაკუთრებით თაყვანს სცემენ მაცხოვარის საფლავს და ასევე ბრწყინვალე მცველები არიან“. ზ. ქებას ასხამს ქართველთა მხედრულ ძღვევამოსილებას. ზ-ის მიხედვით ქართველებს აქვთ საკუთარი ენა და წმ. გიორგის დროშები.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004.

ა. თვარაძე
